ხაუთარ წვრილმან ხურვილებში, ზრახვებში, უბადრუკ აზრებსა და ფიქრებში გახლართულ, შეზღუდულ ადამიანებს ჯერ კიდევ არ უნდათ გაიგონ, რომ ხაქმის ვითარებით, ჩვენი რეხპუბლიკის მშრომელებისადმი გულწრფელი ძმური, ინტერნაციონალური დამოკიდებულებით იყო ნაკარნახევი ხკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ. სწორედ ამიტომ გაისმოდა ჩვენი ყრილობის ტრიბუნიდან ხიტყვები იმ ნაოფიერი მუშაობისათვის მხარდაჭერისა და მოწონებისა, რომელსაც ეწეოდა და ეწევა ხაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი ამ დადგენილების მაქსიმალურად განხორციელებისათვის. ხაქართველოს კინემატოგრაფისტები გამოთქვამდნენ თავიანთ მისწრაფებას ფენი აუწყონ დროს, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ხალხის ახალ ხაქმეებში, რომლებიც დასახულია ლენინის პარტიის XXV ყრილობის მიერ. იმ მაღალი ტრიბუნიდან აღინიშნა, რომ ხაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვამ ხელოვნების ყველა დარგის და უანრის ეროვნული ხელოვნების განვითარებისათვის, ხაგრძნობი შედეგი გამოიღო.

ხაკმარისია ითქვას, რომ „ხაბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება ქართული ხაბჭოთა კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ამ დოკუმენტებში ქართველ კინემატოგრაფისტთა უურადღება მიპყრობილია კინოს როლის გაძლიერებაზე ხაზოგადოების ხულიერ ცხოვრებაში.

ამავე დროს დადგენილებაში დაკონკრეტებული იყო ჩვენი კინოს განვითარებისათვის ხაჭირო მთელი რიგი პირობები.

დაიწყო ახალი, დიდი ლაბორატორიის მშენებლობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

გადაწყდა მე-10 ხუთწლედში დაწყებულიყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე რიგის მშენებლობა.

გამოიცა დიდი ხახსრები კინოტექნიკისა და მოწყობილობის შესაძენად.

წლეულს დაიწყება „ქართული ფილმის“ ძველი ბაზის კაპიტალური რემონტი, რაც ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს. ხაქართველოს „ხახკინმრეწვის“ ეს ხტუდია ხომ ჩვენი კინოს აკვანია — ეს ჩვენი ისტორია და სიამაყეა, და ამიტომ განსაკუთრებით ხასიხარულო იქნება აღდგენილი და განახლებული ძველ ხამუშაო მწყობრში ვიხილოთ იგი.

განახლება და ცვლილებები მოხდა ქართული კინემატოგრაფიის მთელ ხისტემაში.

რეხპუბლიკის ახალი პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო გადაწყვეტილება „ქართული ფილმის“ ხტუდიის დირექტორის პოსტზე რეჟისორის დანიშვნის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს ძალიან პრინციპული გადაწყვეტილებაა კომპეტენტურობისა და პროფეხიონალიზმის სახაგებლოდ, რომლის შედეგადაც ხტუდიაში შეიცვალა შემოქმედებითი ატმოსფერო.

გაჩნდა ხაქმისადმი კოლეგიური დამოკიდებულება, რეჟისორისადმი შემოქმედებითი დახმარება ფილმის ხაქმიანობის ყველა ეტაპზე. დღეს ისევე როგორც წინათ, როგორც ყოველთვის (ეს ჩვენი ხტუდიის ტრადიციაა) ფართოდ ღია კარი ჩვენი კინოახალგაზრდობისათვის. მოსკოვის კინოინსტიტუტისა და უმაღლესი ხარეჟისორო კურსების თითქმის ყველა კურხდამთავრებული თავის ხადიპლომო ხამუშაოებს ქმნის ჩვენს წარმოებაში და დამოუკიდებელ მუშაობას შემდეგ იწყებს.

ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1974 წელს თბილისის ხახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტთან კინორეჟისორის განყოფილების გახსნა. ახლა ქართული კინემატოგრაფია და ტელევიზია შეუფერხებლად მიიღებენ ახალ შემოქმედებითს კადრებს.

ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კინორეჟისორის განყოფილებასთან შეიქმნას ხასწავლო კინოსტუდია, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ხაბოლოოდ მოვაგვაროთ ხასწავლო პროცესი.

ფიქრობს რა დადებითს პროცესებზე, რომლებიც ქართულ ხაბჭოთა კინოში ხდება, „კინემატოგრაფისტთა კავშირი ხულაც არ ეწევა დღევანდელი მდგომარეობის იდეალიზაციას. ჯერ კიდევ გადასაწყვეტია ხაწარმოო და განსაკუთრებით შემოქმედებითი ხასიათის მრავალი საკითხი.

ჩვენი ხასცენარო პორტფელი, ხამწუხაროდ, მდიდარი არ არის ღრმა, ხაინტერესო, თანამედროვე მასალით.

ცუდი მდგომარეობაა ხაბავშვო ფილმების წარმოების ხაქმეში.

ჯერჯერობით მაღალ თვისებრივ დონეზე ვერ დგას ჩვენი ტელეფილმები და ფოტოპანორამიანი წარმოება.

ყოველთვის ვერ ასწრებს ჩვენი რეპუბლიკის ყოველდღიური ცხოვრებისა და შრომის ხარისხობრივად ახალ ხვას დოკუმენტალისტიკა.

ამ და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში ხაქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა განსაკუთრებული დაინტერესება

უნდა გამოიჩინოს და ყველა ღონისძიებით შეუწყოს ხელი ახალ ხულიერ და ესთეტიკურ ფასეულობათა შექმნას, ამასთან გამოიყოს და უფროხილდებოდეს ტალანტებს.

ტალანტი ხანდახან გულფიცხი და ნაკლებად დამთმობია. ყველას ერთი ხავრცხლით ვარცხნასა და ჩარჩოებში ჩაკეტვას თავისებურების, განუმეორებლობის, მხატვრული ნატრის წაშლა მოსდევს. ნდობით, ზრუნვით მოპყრობა კი განსაკუთრებულ ნაყოფს იძლევა. ჩვენი კავშირი ყველა ხაზოგადოებრივ და შემოქმედებით მოვლენათა ცენტრში უნდა ყოს, ვინაიდან ჩვენი მოუხვენარი დრო ხულ ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს. ჩვენს წინაშე კიდევ უფრო მაღალი ამოცანები ისახება პარტიის თბილისის ხაქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ.

ამ ამოცანებზე ამოცანებზე მკაფიოდ და მთელის პასუხისმგებლობით იყო დიდი პრინციპული საუბარი ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამხწინანდელ III პლენუმზე, რომელიც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩვენი რეხპუბლიკის კომუნისტების, და ხაერთოდ ყოველი ჩვენი მშრომელის, ცხოვრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ აღნიშნული პოზიტიური ცვლილებანი, რომლებიც მოხდა ჩვენი ცხოვრების ყველა ხფეროში, თვითეულ ჩვენგანს უნერგავს კანონიერ ხიამაყეს ჩვენი რეხპუბლიკისათვის და მადლობას სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი და ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელმაც შეძლო თვითკრიტიკულად გაეკეთებინა ანალიზი ხაქმის მდგომარეობისათვის და განეხორციელებინა ხახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ფართო სისტემა და ამით აღიდგინა ჩვენი რეხპუბლიკის შერყეული ავტორიტეტი.

ნამდვილი ხიყვარული რეხპუბლიკისადმი, მისი ხალხისადმი ხაქმეებით უნდა გამოიხატოს. ნიჭიერად, ქკვიანურად დაწერილი წიგნი, კარგი ფილმი, ახალი სახლი, გაშენებული ბაღი და სხვა კონკრეტული ხაქმეები რეალური ხიყვარულია ჩვენი მიწა-წყლისადმი. ქართველ კინემატოგრაფისტთა ყველა თაობის ძირითადი ნაწილის სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობს რა უზმაუროდ და უსენსაციოდ, თაობიდან თაობაში დაადგოცა რა აზრის ძალა და ხიღრმე, ქართველმა ხაბჭოთა კინემატოგრაფმა, მთელი ხაბჭოთა კინოს განუყოფელმა ნაწილმა, შორს გადადგა ნაბიჯი და მსოფლიოს წინაშე წარხდგა, როგორც ხილული ფაქტი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის უცილობელი ნაოფი, როგორც ხულიერი განვითარების იმ უდიდეს შესაძლებლობათა დადასტურება, რაც ხალხებისათვის მოაქვს სოციალიზმს.

თვით პროფესია ხელოვანისა, მიხი ადამიანური არხი წინასწარ განსაზღვრავს განსაკუთრებით მწვავე განცდებსა და ფიქრებს მის გარემომცველ მოვლენებსა და პროცესებზე და ბუნებრივია, რომ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება ხულ უფრო მაღალ პოზიციებზე აიყვანს ჭეშმარიტი მხატვრის აზრს, წარმოშობს შემოქმედებითი ძიების ახალ იმპულსებს.

ალმოსავლეთის დიდ პოეტს ხაადის აქვს ჭეშმარიტად ოქროს სიტყვები „ყოველ განძთან წევს ამ განძის მოდარაჯე ასთავიანი გველეშაპი“.

განძი ვერ აიღება შიშველი ხელებით, მეტადრე ხულიერი განძი, რომლის აღება გვავალია ჩვენ, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

არ უნდა დავიზაროთ ჩვენი ცხოვრება, რათა მოვიპოვოთ ეს განძი და ხალხის ხულიერ ხაგანძურში შევიტანოთ.

ეს არის მოქალაქე-მხატვრის, ხოციალიზმის ეპოქის მხატვრის უმაღლესი დანიშნულება.

ელდარ შენგელაია,
ხაქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სიტყვა ხელოვანი და დრო

ხულიერ განძზე

ამ ნომერში:

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲐᲙᲔᲜᲘ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში ერების ისტენსიური დაახლოების პროცესის შედეგად სულ უფრო ვითარდება ერების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, სულიერ სიმდიდრეთა შემდგომი ინტენსიური გაცვლა, ძლიერდება ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთგავლენის პროცესი.

ამ პრობლემას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რ. გრძელიძემ მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა. მისი წიგნი „საერთაშორისო კავშირურთიერთობა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში (საქართველოს სსრ მაგალითზე)“ ახლახან დასტამბა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ეს არის ისტორიულ-სოციოლოგიური ხასიათის მეცნიერული გამოკვლევა.

რ. გრძელიძის წიგნი ქართულ ისტორიულ-სოციოლოგიურ ლიტერატურაში პირველი ნაშრომია, რომელშიც სოციოლოგიური გამოკვლევის მასალებზე დაყრდნობით პრობლემები მეცნიერულად არის შესწავლილი და გაანალიზებული. პირველ თავში ბკითხველი ეცნობა მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებელთა შეხედულებებს ადამიანთა ურთიერთობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ, ერთა შორის ურთიერთობის სტრუქტურას. მკვლევარი აქვე აშუქებს კლასობრივისა და ეროვნულის, სოციალურისა და ფსიქოლოგიურის თანაფარდობის საკითხს, აკრიტიკებს ბურჟუაზიულ ეთნოფსიქოლოგიურ კონცეფციებს.

თემის ძირითადი პრობლემატიკის კვლევას ავტორი წიგნის მეორე თავიდან იწყებს. მისი მეცნიერული ძიების საგანია თანამედროვე პირობებში ერთა ურთიერთობის გაძლიერების ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლების პრობლემები, იკვლევს ერთა ურთიერთობის, კონტაქტების გაფართოების პოლიტიკურ საფუძველს და მდიდარი სოციოლოგიური გამოკვლევის მასალების მეცნიერული ანალიზის შედეგად სავსებით სწორი დასკვნები გამოაქვს.

ნაშრომის მესამე თავი — „საერთაშორისო კავშირურთიერთობის როლი კულტურისა და ყოფაცხოვრების საერთო კომუნისტური ნიშნების განვითარებაში“ გამოკვლევის ერთ-ერთი ძირითადი თავი. აქ გარკვეულია პრობლემები — ერთაშორის ურთიერთობა და ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცება, ერთაშორის ურთიერთობა და ორეროვნება, ერთაშორის ურთიერთობა და ყოფა-ცხოვრების საერთო კომუნისტური ნიშნების განვითარება.

ავტორს სპეციალური მეცნიერული კვლევის საგნად გაუხდია ერთაშორის ურთიერთობისა და ორეროვნების პრობლემა, ავტორი ხელმძღვანელობს აბსოლუტურად სწორი დებულებით, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა ენა სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე ვითარდება. მკვლევარი ნაწს უსვამს ამ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენში თვითეულ ადამიანს სრული თავისუფლება აქვს ლაპარაკობდეს, ზრდიდეს და ასწავლიდეს თავის შვილებს ნებისმიერ ენაზე. დაუშვებელია რაიმე პრივილეგია, შეზღუდვა თუ ძალდატანება ამა თუ იმ ენის ხმარებაში. ენათა თანასწორუფლებიანობის საკითხი არ უნდა აკურიოთ მათი ხაზოგადოებრივი ფუნქციების თანასწორობის საკითხზე. ზოგიერთი ენა, მაგალითად, ჩვენში რუსული ენა, ერების შორის ურთიერთობის ფუნქციას ასრულებს, ეს კი გამოწვეულია ერებს შორის ურთიერთობის ობიექტური ვითარებით. ამ ობიექტურმა პირობებმა საფუძველი შეუქმნა იმას, რომ ახლა „რუსული ენა ფაქტიურად გახდა ერთა შორის ურთიერთობისა და ხსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა“ (სკკპ პროგრამა, გვ. 128).

ხაბჭოთა ხაზოგადოების მეცნიერული მართვის, მშრომელთა ინტერნაციონალური ხულისკვეთებით აღზრდისა და კომუნისტური ხაზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერებსა და ეროვნებებს შორის ურთიერთობის სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხების მეცნიერულ კვლევას; ამ პრობლემების კვლევას ეძღვნება მეოთხე თავი. ეს საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დროამდე თითქმის დაუმუშავებელი იყო. სოციოლოგიური შესწავლის საფუძველზე ავტორი ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის დამახასიათებელია დადებითი საერთაშორისო ურთიერთობა და ორიენტაცია, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის უშუალო ურთიერთობისა და კონტაქტების გაფართოება, ეროვნული თვითშეგნების განვითარება და საერთო-ეროვნული სიმაყის შეგნება. ნაშრომის ბოლო მეხუთე თავი აშუქებს ერებს შორის ურთიერთობისა და ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემებს. წიგნს ერთვის ვრცელი რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

სარეცენზიო წიგნი ინტერესით იკითხება, მაგრამ წიგნში არის საკამათო დასკვნები თუ დებულებები, შეინიშნება ზოგიერთი უზუსტობა თუ სტილისტიკური გადახვევები, ვფიქრობთ, უკეთესი იქნებოდა, თუ წიგნი ასე დასათაურებულიყო: „ერებისა და ეროვნებების ურთიერთობა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“. ეს შენიშვნები ვერ ჩრდილავს წიგნის მეცნიერულ ღირებულებას. ნაშრომი ისტორიულ-სოციოლოგიური ლიტერატურის კარგი შენაძენია.

აკ. ირემაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აქტუალურ პროგლემებზე...

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების მეცნიერები ზღვებისა და ოკეანეების გაუტეხყიანების აქტუალურ პრობლემებზე მუშაობენ. ბათუმელმა იქთიოლოგებმა უკანასკნელი დროის მანძილზე უაღლესი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მეთოდების დახმარებით ბევრი რამ გამოიკვლიეს. ᲤᲝᲢᲝᲨᲘ: მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ანალიზატორების შედარებითი ფიზიოლოგიისა და ევოლუციის ლაბორატორიის ასპირანტი ბოიკა სიმეონოვა ატარებს ექსპერიმენტს. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის საზღვაო თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების წყლის ტოქსიკოლოგიის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი ლევან ტაბიძე (მარცხნივ) და ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ მაზმანიდი ატარებენ შავი ზღვის თევზების ელექტროფიზიოლოგიურ გამოკვლევებს.

ნ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲮᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ).

მოლდაველ მეცნიერებთან ერთად

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეტალურგიული ქარხნის ფიზიკის ლაბორატორიის სპეციალისტებმა კიშინიოვის ურღვევი კონტროლის სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერებთან ერთად დაამთავრეს მუშაობა „ლისტოხოდ-1“ ულტრაბგერიანი რეაქტიული დანადგარის მოდერნიზაციაზე.

„ლისტოხოდ-1“, რომელმაც რუსთაველმა ინჟინრებმა შექმნეს, გათვალისწინებულია გლინვის ნაკადში ფოლადის ფურცლების ხარისხის კონტროლისათვის. დიდმგრძნობიარე ხელსაწყო აუცილებლად გამოავლენს დეფექტებს, რომელთა აღმოჩენა თვალით შეუძლებელია. დანადგარმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მისი ავტორები ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდნენ.

სერიული გამოშვების შემდეგ „ლისტოხოდ-1“ დაინერგება ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის ბევრ მეტალურგიულ და საგლინავ ქარხანაში. (ᲮᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲕᲘᲠᲝ ᲓᲦᲔ

ᲩᲕᲔᲜ ქვეყანაში ფიზიკური კულტურა და სპორტი აღიარებულია საყოველთაო-სახალხო საქმედ—ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ადამიანების ჰარმონიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად. იგი ხელს უწყობს ჯანმრთელობის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, კოლექტიური ჩვეულების გამომუშავებას.

შოლო ხანებში საქართველოს სპორტკომიტეტმა, რესპუბლიკის ფიზიკულტურულმა ორგანიზაციებმა საზოგადოებრივ აქტივზე დაყრდნობით, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით გარკვეული მუშაობა გასწიეს ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გასულ წლებთან შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა ფიზიკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებას, გაიზარდა მომთხოვნელობა, კონტროლი. მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას უპატაჟეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებათა ყველა ძირითადი მაჩვენებლების წარმატებით შესრულება. დღეს ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ შარშან 1974 წლთან შედარებით ფიზკულტურულ-სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რაოდენობა 12 ათასი კაცით გაიზარდა და დღისათვის 1.018200-ს მიაღწია. თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადების გეგმა 23 ათასი კაცის გადაჭარბებით შესრულდა. 1975 წელს რესპუბლიკაში მომზადდა 241 სპორტის ოსტატი, რაც გეგმაზე 36-ით მეტია.

დიდი ყურადღება ეთმობა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნებში, ბათუმის ხაზღვაო ნავსადგურში, თბილისგვირაბმშენში, გორის ბამბეულის კომბინატში, ქუთაისის ბბრეშემის საწარმოო გაერთიანებაში, ბურჯანის რაიონის ვეკუნის საბჭოთა მეურნეობაში, მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში, წოდოლწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობებში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშთ კომპლექსში ყველა ასაკის მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას. ამ მიმართულებით ფიზკულტურის კოლექტივებში პრაქტიკული დახმარების გაწევით მიზნით იგზავნება სპორტკომიტეტის ბრიგადები. კომპლექსის პროპაგანდას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ მშთ სამკერდე ნიშნების გადაცემა ეწყობა საზეიმო ვითარებაში, რომელშიც მონაწილეობენ რესპუბლიკის სახელოვანი სპორტსმენები, დამსახურებული მწვრთნელები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწენი.

შესამჩნევად გაუმჯობესდა მშთ კომპლექსის მმაჯალეშიდის სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების მდგომარეობა, რომელიც თავის მხრივ ნიმნოსანთა რიცხვობრივ ზრდასთან ერთად განაპირობა ხარისხობრივი დონე, მზადყოფნა შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის. გასული წლის მონაცემებით ნიმნოსანთა რაოდენობამ 251 ათასს მიაღწია, რაც 45.000 კაცით აღემატება 1974 წელს მომზადებულ ნიშნოსანთა რიცხვს.

დღეს სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მშთ კომპლექსის დანერგვის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულთა შორის საქართველოს ფიზკულტურული კოლექტივებიც არიან, კერძოდ თბილისის მე-11, 36-ე და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივები.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები და ფიზკულტურული კოლექტივები დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქოს“, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურული კოლექტივების, სასპორტო საზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოსა და ჩოხატაურის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების ინიციატივას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ახალ გადიდებულ ვალდებულებათა აღებასთან დაკავშირებით. ახლა ისინი ხუთწლედის ვანტაზე დგანან და წარმატებით ანაღდებენ ვალდებულებებს.

1975 წლის სპორტული სეზონი დიდი წარმატებებით დაამთავრა ბევრმა ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა. მეხუთედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელსაც მსოფლიოში ქალთა შორის პირველს მიენიჭა დიდოსტატის საპატიო წოდება. ასევე მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, ევროპის ჩემპიონისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა ვიქტორ სახვეევმა. გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე პაატა შამუგამ, მარინე ცერცვაძემ, იგორ კუშვილიოვმა, იგორ ოქელჩენკომ. დავით ყავაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა კრივში.

მიმდინარე სპორტულ სეზონში ევროპის ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს თეიმურაზ კაკულიამ, ალექსანდრე მეტრეველმა, ნიკოლოზ დვარიეულინმა, ვიტალი დარასელიამ, დავით ყიფიანმა, ვლადიმერ გუცაევმა, თემურ ხუბულურმა, მარლენ ბაბაევმ და სხვებმა.

საქართველოს მოსიმაღლო მთაგადასვლელთა ნაკრები ბერნდი შოთა მირიანაშვილის, დიმიტრი დანგაძის, გიორგი აბაშიძის, სარგის ბარლიანის და შაქრო ბაბისანის შემადგენლობით ცენტრალურ ბამირში მანამდე დაუპყრობელ 6.100 მეტრიან მწვერვალზე ავიდა და პირველ დამპყრობთა უფლებით მას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის სახელი უწოდა.

წარმატებას მიაღწია საგანგებულო პირველობაზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა, რომელმაც გაიზრდელი თამაშით კვლავ შეაყვარა თავი და სიამოვნება მოგვცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს, ფეხბურთის მოლონრობით გულშემატკივარს.

საუკეთესო სპორტული მაჩვენებლების ზრდაში უდაოდ დიდი როლი ენიჭებათ მწვრთნელებს, ვეტერან სპორტსმენებს. სწორედ მათ ცოდნასა და უნარზეა დამოკიდებული თვითეული აღსაზრდელის წარმატება. დღეს ჭეშმარიტ უნდა მოვიხსენიოთ ისეთი მწვრთნელები, როგორიც არიან: ბ. მაზიაშვილი, ვ. ბალავაძე, გ. პაპიტაშვილი, ა. კვრსელიანი, გ. ბუთრანაძე, ბ. ვაიზბერგი, ნ. ახალკაცი, ლ. მოსაშვილი, გ. როსტიაშვილი, ბ. ...ბანელი, შ. ...ბაშვილი, ბ. ...ლიაშვილი, შ. გუჯარელიძე, ი. ...ფაფარიძე,

ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები







მონრეალის XXI ოლიმპიური ასპარეზობა ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ თვალწინ გვიდგას ის უნგრეული სპორტული ბრძოლები, რომლებსაც მილიონობით მაყურებელი ადევნებდა თვალს. 125 მედალი — ასეთი იყო საბჭოთა სპორტსმენების „ნადავლი". ამ საერთო მიღწევაში ხაჭართველოს წარგზავნილთა წვლილიც არის. ჩვენმა თანამემამულეებმა 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ნაკრებს 24 ქულა შესძინეს.

საერთო ალიარება ჰპოვეს ვ. სანეევამ და ლ. თედიაშვილმა. პირველი მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ხამხტომში, მეორე კი — მეორედ თავისუფალ ჭიდაობაში. ოქროს მედლით დაგვიბრუნდა აგრეთვე თბილისელი ხელოვრთელი ა. ანბალოგოვი. ქართველ ძიუდოისტს რ. ხარშილაძეს ვერცხლის მედალი ხვდა, ხოლო კალთბურთელ მ. ქორქიასა და ძიუდოისტ შ. ჩოჩიშვილს — ბრინჯაოს მედლები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზევით — ვ. სანეევა, ლ. თედიაშვილი, ა. ანბალოგოვი, და რ. ხარშილაძე, — ქვემოთ მ. ქორქია და შ. ჩოჩიშვილი.

ჯულფის ᲙᲝᲜᲘᲚᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ საგანგაშო საათები

ᲑᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠᲘ, ირანის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამანადგურებელი ხანძარი მოხდა ქალაქ ჯულფაში სსრ კავშირის საზღვარზე. ცეცხლთან ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ საბჭოთა სპეციალისტებიც.

ეს რას გადმოგვცემს „იზვესტიის" საკუთარი კორესპონდენტი თეირანში ა. ახმედანოვი:

„ჯულფა ირანის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო პუნქტია. ტვირთები აქ მოდის საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გავლით ლიმსაღელეთ და დასავლეთ ევროპიდან. აქ ტვირთები გადის საქონრო საბაჟო დამუშავებას და შემდეგ იგზავნება ქვეყნის სიღრმეში. ჯულფაში ამ დღეებში 500 ათას ტონაზე მეტი გაუზიდავი ტვირთი დაგროვდა.

უკანასკნელ კვირეებში აქ საშინელი სიცხე დგას. გეგონება, ქვებიც კი, მაი ასანთი რომ მიაკარო, შეიძლება აალდესო. ჯერჯერობით გამორკვეული არ არის ის კონკრეტული მიზეზი, რომელმაც ნაპერწკალი გამოიწვია, მაგრამ იგი გამოწვეული იქნა უაღრესად საშიშ ადგილას — საწყობების რაიონში, სადაც ადგილაალებადი ქიმიური ნივთიერებები ინახებოდა და ყოსვე ავარდა ალი, რომელიც მაშინვე აიტაცა ძლიერმა ქარმა. ეს მოხდა 5 აგვისტოს საღამოს. ხანძარი ისეთ უდიდეს მასშტაბებს იღებდა, რომ ცხადი გახდა: ჯულფაში და მის სიახლოვეს არსებული ძალების მისი დამარცხება არასაზით არ შეიძლებოდა. და მაშინ ირანის ხელისუფლებმა დასმარებისათვის საბჭოთა კავშირს მიმართეს.

საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარზე მომხდარი შემდგომი ამბების შესახებ „იზვესტიის" სპეციალურ კორესპონდენტს ვ. სახარკოს მოუთხრობს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, შინაგანი საქმეთა სამინისტროს გენერალი თეოდორ ვასილის-ძე ᲝᲠᲗᲘᲜᲘ:

— ჯულფაში შექმნილი კრიტიკული სიტუაცია დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. ამიტომ, გასაგებია, ყველაფერი გაკეთდა იმ ფორმალობათა გარეშე, რომელიც ჩვეულებრივად მიღებულია მეზობელი ქვეყნების ურთიერთობაში. ხანძრის ქრობაში ჩვენი გუნდების მონაწილეობის საკითხი გადაწყდა ერთბაშად, გასაგებია, ყველაფერი გაკეთდა ტელეფონით.

ნახევარი საათიც არ გასულა მას შემდეგ, რაც ცეცხლი აღმა შთანთქა რამდენიმე ათეული მილიარდი რიალის ღირებულების სხვადასხვა მასალები, საქონელი, მოწყობილობა, მანქანები. ხელისუფალნი და პრესა აღნიშავენ, რომ ზარალი შეიძლებოდა გაცილებით მეტი ყოფილიყო, საბჭოთა კავშირის მხრივ დროული დახმარება რომ არა. აქ ყველანი მაღალ შეფასებას აძლევენ ჩვენი მებრძოლების მამაცობასა და თავდადებულ მოქმედებას.

— ამის მნიშვნელობა, რაც საბჭოთა მეხანძრეებმა გაიკეთეს, არ შეიძლება გადაჭარბებით იქნას შეფასებული, — განუცხადეს ეურნალისტებს ჯულფის საბაჟოს წარმომადგენლებმა.

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ", 12/VIII 76 წ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

„მგლის ხროვის" აღსასრული

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ჩხეიშვილს, ნოდარ მუკანიანს, გოჩა ჯიქურსა და ოლეგ ზიბზიბაძეს შრომითი სტაჟი არ ჰქონიათ მარტო იმიტომ კი არა, რომ ჯერ მართლაც ყმაწვილები — სულ ოციოდე წლის ახალგაზრდები არიან. ეს მუქთახორები პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ და ძარცვა-გლეჯვითა და ყაჩაღობით შოულობდნენ ფულს.

მოქალაქე ძ.-ის ბინაში მათ 120 მანეთის ნივთები მოიპარეს, ესეც არ იკმარეს და 80-კაპიკიან სუნამოსაც დახარბდნენ. ბანდამ საგულდაგულოდ შეიმუშავა კბილის ექიმის ე.-ის ბინაზე ბანდიტური თავდასხმის გეგმა. ექიმს პაციენტებად მოაჩვენეს თავი და კაბინეტში რომ შეეიდნენ, ფული მოსთხოვეს. უარი რომ მიიღეს, ბანდიტებმა გათოკეს ექიმი, სასოფლაოზე წაიყვანეს და წამება დაუწყეს. მაგრამ მალე მილიციამ მიაგნო ამ „მგლის ხროვის" კვალს და ყველანი დააკავა.

ქ. თბილისის ეროვნის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. მკალობლიშვილის თავმჯდომარეობით ნ. მუკანიანს მოუსჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა, ბ. ჩხეიშვილს — 9, გ. ჯიქურსა და ო. ზიბზიბაძეს — 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა, თან ქონების კონფისკაცია — ყველას.

გამოტანილია კერძო განჩინება, რომ მოწმეები ამირან და ოლეგ ზურაბიანები, გოგი ლაპარტელიანი და ლენა ბებანიანი მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ეონიადან, სასამართლოს გაფრთხილების მიუხედავად, ისინი დამნაშავეთა ნამოქმედარის მიჩქმალვის მიზნით განზრახ იძლეოდნენ ცრუ ჩვენებებს.

(საქინფორმი).

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

სპორტს უყვარს სიურპრიზები

ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ-1976 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-DAVIS

ᲕᲘᲜᲒ გუშინ თბილისის „დინამოს" კორტზე ესწრებოდა სსრ კავშირისა და უნგრეთის ჩოგბურთელთა შეხვედრას დევისის თასზე, დამეთანხმება, სპორტმა, როგორც იტყვიან, მეასედ დამტკიცა, რომ მას დროდადრო სიურპრიზები უყვარს.

აბა ვინ იფიქრებდა, რომ თეიმურაზ კაკულია, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა და ამ ასპარეზობაში დამარცხა (მეხუთედ) უნგრეთის ნაკრების ლიდერი ბალაშ ტოროკი, ხოლო ფინალში მრავალი წლის მეგობარი და პარტნიორი — ალექსანდრე მეტრეველი, ამ დღეს ასე უფერულად ითამაშებდა.

კორტზე პირველნი ალექსანდრე მეტრეველი და იანოშ ბენეკი გამოვიდნენ. არა მგონია, სტუმრებს თავიანთი ჩოგბურთელის დიდი იმედი ჰქონოდათ, რადგანაც ძალები აშკარად არათანაბარი იყო. და მაინც უნგრელმა სპორტსმენმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჩვენი ჩოგბურთის ლიდერს. მეექვსე გემიმდე ი. ბენეკს საერთოდ არ დაუშვია შეცდომა — იგი მოქმედებდა ზედმიწევნით ზუსტად და ამასთანავე ენერგიულად. სტუმარმა თავიდანვე წაიყვანა ანგარიში — 3:1. საფიქრებელი იყო, რომ ა. მეტრეველს მთელი თავისი ოსტატობის დემონსტრირება დასჭირდებოდა, რათა გამარჯვებისათვის მიეღწია, მაგრამ ქართველმა ჩოგბურთელმა შედარებით ილოდ შეძლო წარმატების მოპოვება. იგი მეტოქეზე უფრო მრავალფეროვნად მოქმედებდა და პირველ პარტიაში ზედიზედ ხუთი გემი მოიგო — 6:3.

მომდევნო პარტიაში უნგრელმა მეოდგარი წინააღმდეგობა გაუწია პარტნიორს, მაგრამ მაინც დამარცხდა — 5:7. მესამე პარტიის დროს, როდესაც ანგარიში იყო 4:2 და მეტრეველის გამარჯვება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, ჩვენმა ჩოგბურთელმა ნაძალადევად გაგვაბარა ბრწყინვალე კომბინაციებითა და არტისტული თამაშით. 6:3 — ასე დამთავრდა ეს გადამწყვეტი პარტია.

მომდევნო შეხვედრის წინ ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა: „ახლა კი ქაკულია გაახარებს თბილისელთა გულს!".

გამოგიტყდებით, მეც ასე ვფიქრობდი. მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კაკულიამ წააგო. იგი დამარცხდა ისე, რომ პრაქტიკულად არ უბრძოლია. ამასთან სამივე პარტიაში — 3:6, 3:6, 4:6 და, წარმოიდგინეთ, ძალზე სწრაფადაც — 1 საათისა და 45 წუთის განმავლობაში, მაშინ როდესაც ა. მეტრეველი-ი. ბენეკის ორთაბრძოლა ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა.

თ. კაკულიას ამ დღეს ნამდვილად ვერ იცრობდით. იგი, რომელიც ყოველთვის სტაბილური თამაშით გამოირჩეოდა, ახლა პირდაპირ გაუგებარ შეცდომებს უშვებდა. თეიმურის ყველასათვის კარგად ნაცნობი დარტყმა მარჯვნიდან, რომელსაც ადრე არაერთი „ნოკაუტი" მოუტანია, ამჯერად უმოქმედო იყო. თ. კაკულიამ ვერ მოახერხა ბ. ტაროიის საკუთარი ტაქტიკა და ფაქტორად თავს იცავდა ძალზე ტექნიკური პარტნიორის იერიშებისაგან. თანაც თ. კაკულიამ „დაკარგა" პირველი მოწოდებაც, მეორე კი ხშირად იმდენად უწყინარი იყო, რომ ბ. ტაროიი ბურთის მიღებისთანავე ბადესთან გადიოდა და ქულას ქულაზე აგროვებდა.

ეფიქრობ, რომ თ. კაკულია ევროპის ჩემპიონის ახალ როლში „გადაიწვა" უკვე კორტზე გასვლის წინ, რამაც ძირითადად გაპირობა მისი ეს გუშინდელი უსიამოვნო სიურპრიზი.

ამრიგად, პირველი დღის შემდეგ გუნდური ასპარეზობის ანგარიშია 1:1.

დღეს, შეჯიბრების საზეიმო გახსნის შემდეგ, რომელიც 15 საათზე დაიწყება, გაიმართება წყვილთა შეხვედრა, ხოლო ხვალ თ. კაკულია-ი. ბენეკისა და ა. მეტრეველი-ბ. ტაროიის ორთაბრძოლები გამოავლენენ ამ მატჩის გამარჯვებულს.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘ,
გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" მიმომხილველი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: „დინამოს" ჩოგბურთის კორტზე გუშინდელი ასპარეზობის დროს. მ. სანაიას ფოტო.

ᲮᲘᲚᲓᲦᲝᲔᲑᲘ ᲓᲘᲠᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაჯილდოვა მონრეალის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსული ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები და მათი მწვრთნელები.

საქართველოს სპორტკომიტეტის სპეციალური სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ ოლიმპიური ჩემპიონები ვიქტორ სანეევი (ძალოსნობა), ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) და ალექსანდრე ანბალოგოვი (ხელოვრთი), კომიტეტის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით—ოლიმპიადის პრიზიორები რამაზ ხარშილაძე, შოთა ჩოჩიშვილი (ჭიდაობა ძიუდო) და მიხეილ ქორქია (კალთბურთი).

სპორტკომიტეტის სიგელები გადაეცათ ამ სპორტსმენების მწვრთნელებს —ვახტანგ ბალავაძეს, აკოფ კერესელიანს, ბიძინა მაზიაშვილს, გიორგი პაპიტაშვილს და ლევან მოსეშვილს.

ᲙᲚᲙᲘᲜᲘᲖᲛᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲗᲐᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲢᲘᲐᲜ-ᲨᲐᲜᲖᲔ

ᲑᲨᲛᲜ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ დაპეშა მიიღო პრეზიდიუმიდან. მთასვლელთა ექსპედიციის უფროსი გ. ქართველიშვილი გვატყობინებს: სპორტსაზოგადოება „განთიადის" მთასვლელთა ნაკრებმა შარაშენიძის (მთიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი), ქართველიშვილის, ბაქანიძის, ჭიჭინაძის, ლუკაშვილისა და ზუმბაძის შემადგენლობით უაღრესად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დაიპყრო ცენტრალური ტიან-შანის ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალი ჯიგიტი ჩრდილოეთი კედლის ე. წ. დიდი სამკუთხედის ცენტრით. ეს ასვლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პროგრამაში შედის.

ᲛᲐᲥᲓᲠᲐᲙᲘ

ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲑᲘ Მ. ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ Ვ. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ

ᲥᲐᲚᲥ ტოლიატში მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალი ქალთა შორის, რომელშიც გამოდის სამი ქართველი მოჭადრაკე.

უკვე გათამაშდა ექვსი ტური. ასპარეზობას 4,5 ქულით ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატები მაია ჩიბურდანიძე (თბილისი) და ვალენტინა კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), რომლებმაც ბოლო ტურში ერთმანეთთან შეხვედრისას ყაიმით დამთავრეს პარტია.

მანამდე მ. ჩიბურდანიძემ დაამარცხა ელინა, ვორონოვა, დუდკოვა, ხოლო ვრინფელდთან და თამარ ხუციშვილთან დაზავდა.

ოსტატობის კანდიდატს ნანა იოსელიანს სამი ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, თ. ხუციშვილს — სამი ქულა.

დიდოსტატი
Ე. ᲒᲣᲨᲔᲚᲓᲘ,
(„კომუნისტის" სპეც. კორ. ტელეფონით).

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. გუშინ კუბიშევში „ა" კლასის უმაღლესი ლიგის 39-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი" შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს". ანგარიშით 2:0 (2:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ბურთები მეკარე ოლეინიკის კარში გაეტანეს სმირნოვმა და არიაპოვმა.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲘ. ესპანეთის ქალაქ სანტიაგო-დე-კომპოსტელაში დამთავრდა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი. გადამწყვეტ მატჩში საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 83:92 (48:44) წააგო იუგოსლავიის გუნდთან და ვერცხლის მედლები მოიპოვა. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ ესპანელებს, რომლებმაც სლიეს ბულგარეთის გუნდს — 89:72.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ს. მ. აბესაძე დანიშნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ჯ. ნ. ლომაშვილი გათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

□ 16 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „ცხოველთა სამყაროში". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „კინომოგზაურთა კლუბი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „ეეხუთე მეოთხედი". ფერადი გამოსახულებით,
18.00 — ბავშვებისათვის „მუსიკალური ზღაპარი" (განმეორებით),
18.40 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა,
19.00 — „მსოფლიოს ქალაქები",
19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ობი ციმბირის მდინარე". ფერადი გამოსახულებით,
19.50 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.30 — „მომაბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.05 — „ოლხური სუიტა",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — კინოეურნალი „სოფლის მეურნეობა" № 1 (ქართულ ენაზე),
22.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აგარაკზე",
23.40 — ევროპის თასზე ცურვაში (მამაკაცები). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა იტალიიდან).

□ 17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.30 — მ. გორკი. ფილმი-სპექტაკლი „მდაბიონი" — ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.00 — მხატვრული ფილმი „აღდგომა" (I სერია),
15.05 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა, „ერთი მრავალთაგანი". საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნაწარმოები — „დროს გაუსწრო" — როსტოვის ენერგეტიკის სტუდიის ნაწარმოები (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.35 — კინოპროგრამა,
16.00 — სატელევიზიო სპექტაკლები: „შეუცვლელი" და „დღესასწაული". ფერადი გამოსახულებით (საქართველოს ტელევიზიის დადგმა),
17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ლეოვის კუნძულის ბიჭუნები". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.15 — განცხადებები,
18.20 — დოკუმენტური ფილმი,
19.00 — „სპორტული მიმოხილვა",
19.25 — „უჩა ჯაფარიძე" (დაბადების 70 წლისთავის გამო),
20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „შრომისა და სიმღერის ადამიანები" — ხობის რაიონი სოფელ ხორგა,
21.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „სალტე, ფეხბურთელო!" — საბჭოთა კავშირისა და კუბის ახალგაზრდობის მეგობრობის პირველი ფესტივალი. ფერადი გამოსახულებით (რეპორტაჟი კამბინოვიდან).

□ 18 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.15 — დოკუმენტური ფილმი „ანდრონიკოვის სატყვაი". ფერადი გამოსახულებთ,
12.15 — მხატვრული ფილმი „აღდგომა" (II სერია),
16.55 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ტყეებსა და მთებს იქით". ფერადი გამოსახულებით,
18.05 — ბავშვებისათვის კონცერტი (განმეორებით),
18.40 — განცხადებები,
18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეროვნული ეკონომიკა",
19.00 — „პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.25 — კინონარკვევი,
19.35 — „ბეჭედსა და ბეჭვარეულობაზე",
20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — კონცერტი,
21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე: „დინამო" (კიევი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი). II ტაიმი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა კიევიდან),
21.45 — კინოეურნალი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — მხატვრული ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა".

□ 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ზეპირსტყვიერების მასწავლებელი",
11.15 — „კინოკომედია „ოლიანი ჯენტლმენები". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი მხარე ტიუმენი". ფერადი გამოსახულებთ,
16.55 — მხატვრული ფილმი „ამბავი ერთი ქალისა". ფერადი გამოსახულებთ,
18.30 — ბავშვებისათვის. „მზიური" — ოცნების ქალაქი",
18.55 — განცხადებები,
19.00 — „სოფლის მეურნეობა" [illegible] ᲛᲝᲙᲚᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲣᲞᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

□ 20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები" (I სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.05 — ბალეტის მსახიობთა კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.00 — დოკუმენტური ფილმი.
17.55 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ" — საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — განცხადებები,
19.05 — „ხუთწლედი მოქმედებაში",
19.25 — „სწრაფი ტემპი დასამთავრებელ მშენებლობას" (განმეორებთ),
19.45 — სატელევიზიო ფილმი,
20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „მღერის მონსერა კიბალეკი",
20.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები" (II სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საესტრადო პროგრამა „არტლოტი". ფერადი გამოსახულებთ (გადმოცემა მოსკოვიდან),
23.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა,
11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები" (II სერია). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.05 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.35 — მუსიკალური პროგრამა „თქვენს სასლშია". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.10 — დოკუმენტური ფილმი,
14.05 — სომხეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
14.50 — სპორტლოტის ტირაჟი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.00 — ამერიკული სატელევიზიო მხატვრული ფილმი ციკლიდან „თავგადასავლები აფრიკაში" — „ჯონი ვეინრის სამოთხის კუთხე". პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.50 — „ბასსარითონი კინოპროგრამა ბავშვებისათვის",
16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
17.15 — „მესამე შრომითი სეზონი".
17.45 — „ჯანმრთელობა" — — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.15 — „ტყავის ბურთის პრობლემა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „ბთის მარგალიტის სატკივარი",
19.30 — კონცერტი,
20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „კინოლექტორიუმი",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ბალეტის სალამო",
23.20 — სატელევიზიო ფილმი,
23.45 — ჩოგბურთი — ფინალური მატჩი საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის დევისის „თასზე" — ევროპის „ა" ზონაში — გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის.

□ 22 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.00 — დოკუმენტური ფილმი „დიდი და პატარა როლი",
11.30 — „კინოადფიშა",
12.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „ანას გული" — პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.40 — „კინოს მოყვარულთათვის",
14.40 — „მუსიკალური კიოსკი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.10 — ამერიკული სატელევიზიო მხატვრული ფილმი ციკლიდან „თავგადასავლები აფრიკაში" — „ლომების თავდასხმა". პრემიერა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.00 — „ტრადიცია და თანამედროვეობა",
16.45 — კინონარკვევი „ლიანდაგებზე",
17.05 — „ეკითხეთ საკუთარ თავს",
17.30 — ცეროდენას ეკრანი. ფერადი გამოსახულებით (ქართულ ენაზე),
18.00 — „საერთაშორისო პანორამა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.30 — „ვეკაობა ჩარგალში",
19.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი). შესვენების დროს — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ" — საინფორმაციო პროგრამა,
21.15 — „კინომოგზაურთა კლუბი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საესტრადო კონცერტი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — დოკუმენტური ფილმი „ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო მეოთხედი საუკუნის შემდეგ" (ქართულ ენაზე), 13.00 — „ოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლი „აისის" კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე), 13.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯადოქრები ჯერ არ გამხდარან" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — ქართული ფერადი დოკუმენტური ფილმი „ᲛᲣᲓᲐᲰ ᲒᲖᲐᲨᲘ", 14.20 — „მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება" — ინდოეთი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.50 — მოსწავლეთათვის — სოფელ კავთისხევის სკოლის თვითმოქმედი კოლექტივის კონცერტი, 15.20 — ბავშვებისათვის გასართობი კინოპროგრამა, 16.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — ახალგაზრდობისათვის „მუშური სინდისის ხმა", 17.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — „ცხოველთა სამყაროში". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ქართული ხალხური თვითმოქმედება. სიღნაღის რაიონი, 19.30 — გადაცემა „ამხანაგი ფიდელი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — შიშს დიდი თვალები აქვს, 20.35 — „დევისის თასზე" — სსრ კავშირი-უნგრეთი. ფერადი გამოსახულებით, 21.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ცსკა-„ტორპედო" (II ტაიმი). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ᲕᲠᲔᲛᲘᲐ" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ᲨᲣᲥᲘᲡ ᲛᲖᲔᲠᲘᲡ ᲛᲖᲔᲠᲕᲘᲡᲐ"... ფერადი გამოსახულებით.

ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ

14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

08.05 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ" — საინფორმაციო პროგრამა, 08.35 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ" — საინფორმაციო პროგრამა, 09.05 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ" — საინფორმაციო პროგრამა, 09.35 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ" — საინფორმაციო პროგრამა, 10.05 — „ᲛᲝᲛᲐᲛᲑᲔ